ტარტაროზი

კვირა, 29 ივნისი 1930 წ. № 24 (260) ფასი 10 კაპ.

მოეწყო საკავშირო მოტო-ველო გადარბენა, რომლის მონაწილე ფიზკულტურელები მოსკოვში მე-16 პარტყრილობას პატაკს მოახსენებენ ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ.




# „დაუფასებელი“

— დიდი საქმეა ამის მიტანა! მე ერთი გარბენით სოფლად კოლექტივება მოვაწყვე, მაგრამ ვინ დამიფასა? მად ლობის მაგიერ, — მომხსნეს!

12 565

# „ახალი ოჯახი“

სპირიდონ ზიზლაძეს განათლებულ კაცათ მოაქვს თავი. ხუმრობა ხომ არ არის—უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი პიროვნებაა, პროფესიით ეკონომისტი. სპირიდონი ჩვენი პარტიის წევრიც იყო და გამოწმენდილ იქნა უკანასკნელ წმენდის დროს.

— ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ სპირიდონ ზიზლაძის თავგადასავალი, მისი ავტობიოგრაფია, ვის უნდა სიტყვა?—შეეკითხა გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე მუშა-მოსამსახურეთა კრებას.

— მე მსურს!—გაისმა ხმა და ტრიბუნაზე ავიდა ახალგაზრდა მუშა ვანო ტყვიაძე.

— სპირიდონ ზიზლაძეს ყველა ვიცნობთ,—დაიწყო მან,—ის ჩვენი დაწესებულების უფროსია, რომლისთვისაც საბჭოთა ხელისუფლებას საპასუხისმგებლო საქმე მიუნდვია; სპირიდონ კომუნისტური პარტიის წევრია. ასრულებს თუ არა ის პარტიის დავალებას? მიყავს თუ არა წალმა ჩვენი დაწესებულების საქმე?

ამ კითხვებს სხვები შეეხონ, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დაწესებულების საქმე ზიზლაძის მეოხებით უკან მიდის და არა წინ. მე მინდა გაგაცნოთ თქვენ ზიზლაძის პირადი ცხოვრება. მე მის ცხოვრებას კარგად ვიცნობ. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ...

— ასე მემართლები განა? არ გახსოვს, რომ ქუჩაში იყავი და ბინა მოგეცი!—წამოიძახა ადგილიდან ზიზლაძემ.

— როგორ არ მახსოვს! განა ვუარყოფ, რომ შენ ექვს ოთახში ერთი ოთახი მომეცი? მე მაშინ უჯრედის მდივანი ვიყავი, შენ კი დაწესებელების გამგე. ალბათ სამაგიეროს მოელოდი ჩემგან...

— ცილისწამებაა, შეურაცყოფა!—აღშფოთებით წამოიძახა ზიზლაძემ.

— ამხანაგო ვანო, გთხოვთ წვრილმანებს ნაკლებათ შეეხოთ! შენიშნა თავმჯდომარემ ტყვიაძეს.

— ამხანაგებო, განა ეს წვრილმანია?—მაგრამ ამას თავი დავანებოთ,—სპირიდონ ზიზლაძეს რომ შეეკითხოთ, ის კულტურული რევოლიუციის მომხრეა, ახალ ყოფა-ცხოვრებას არ უარყოფს, ცხადია კომუნისტურ ოჯახსაც შესტრფის, ალბათ თქვენც გახსოვთ ზიზლაძის საჯარო ლექცია ყოფა-ცხოვრების შესახებ. ბევრი თქვენგანი დაესწრო იმ ლექციას და დამიმოწმებთ, რასაც ვამბობ. მაგრამ როგორია ის პირად ცხოვრებაში? ნამდვილი, ტიპიური მეშჩანი, გახრწნილი და გადაგვარებული ადამიანი. რას წარმოადგენს მისი ოჯახი? მეშჩანობის და გახრწნილობის წუმპეს.

— ამხანაგო თავმჯდომარე, გთხოვთ დამიცვათ ცილისწამებისა და შეურაცყოფისაგან, ჩემი ოჯახი, კომუნისტური, ახალი ოჯახია!—აღშფოთებით მიმართა ზიზლაძემ თავმჯდომარეს.

— ახალი ოჯახიო, ნუ თუ არ გრცხვენია!—ხმამაღლა გადასძახა ტრიბუნიდან ტყვიაძემ სპირიდონს. ერთი გვიპასუხეთ,—რამდენჯერ გიცემიათ თქვენ ცოლისათვის? მერამდენე ცოლი გყავთ და რა ბედი ეწვია შენს ყოფილ ცოლებს? მოიკლა თუ არა ორმა მათგანმა თავი?

ახალი ოჯახით: როგორ ზრდით თქვენს შვილებს? განა შენი ქალი არ არის, რომ დილიდან საღამომდე ცეკვის და არშიყობის მეტს არაფერს აკეთებს?

განა შენი ვაჟი არ არის, რომ ფულების გაფლანგვისათვის გამასახლში ზის? ვინ იცის, იქნებ შენც იღებდი მონაწილეობას მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში! ახალი ოჯახიო! ჰმ! განა ეს არის ახალი ოჯახი? ჩვენ არ გვინდა ასეთი ოჯახი! ჩვენ არ გვინდა პარტიის არც ისეთი წევრი, რომელიც ასეთ ოჯახს კომუნისტურ ოჯახათ სთვლის!—დაათავა თავის სიტყვა ვანომ და ტრიბუნიდან ჩამოვიდა...

ვანოს შემდეგ სხვებმაც ილაპარაკეს.

ისინი ვანოს ნათქვამს სავსებით ადასტურებდენ.

ილაპარაკა თვით ზიზლაძემაც, რომელიც შეეცადა გამწმენდ კომისიისათვის დაემტკიცებია, რომ მისი ოჯახი ნამდვილი კომუნისტური ოჯახია, მაგრამ ცდამ ფონაყოფოთ ჩაუარა.

წმენდის შედეგს თქვენ იცნობთ.

როგორც გავიგეთ, ზიზლაძეს უკანასკნელი ცოლი გაქცევია, მის ასულს რომანიულ ნიადაგზე თავი მოუკლავს, ვაჟი გაფლანგვისათვის ეხლაც გამასახლში ზის. საბინაო ამხანაგობას შეუვიწროვებია ზიზლაძე და ხუთი ოთახიდან მისთვის ერთი დაუტოვებია...

აი, რა ბედი ეწვია ზიზლაძის „ახალ ოჯახს“. ჭუმბარა.



მოხსენებაზე:—ამხანაგებო, საჭიროა ახალი ოჯახი, ერთი მეორის სიყვარულზე და პატივისცემაზე აგებული.



ოჯახში—უუუ შე!..

## მხცოვანი იუბილიარის მგზავრობა






**კაროჟნა:** (თავისთვის) ქალაქში მივყვები ძია დავითს, იქნება იქ მაინც ვნახო ჩემი ბედი და იღბალი.

## დავით კლდიაშვილის გმირები გასაბჭოების შემდეგ

პატივცემული დავითი აღარ კითხულობს თავის გმირების ამბავს, მის შემდეგ რაც მასზე დასწერეს.

ტარტაროზმა სპეციალურად გაგზავნა მისი ჯოჯოხეთ უხუცესი ნიანგი, რომ გამოეკვლია მათი მდგომარეობა და ყოფაცხოვრება.

ნიანგმა დავალება შეასრულა და ასე მოახსენა ტარტაროზს იმერულათ; (მიუხედავად იმისა, რომ ნიანგი ტომით გურულია);

— მოვიარე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმერეთი; ვნახე პირველად დარისპანი, მოხუცებულა ძალიან კაროჟნა, მისი ქალიშვილი, ჯერეც გოუთხოვარია და კიდევ იმ ხნისაა მისი ფიიქრით, რაც ამ ოცი თუ ოცდა ხუთი წლის წინათ იყო.

— მე შენი ჭირიმე „ზაქცით“ არ მინდა ქმარი და არც უბრალო ვინმე, იმის მერე რაც ოსიკო ხარებაძემ მიღალატა და დამიწუნა, მერე იმის მეტს კაის მე ვერავის შევხვდები!—ასე განაცხადა კაროჟნამ.

დარისპანისას ჩაიზე მიმიწვიეს, ჭიქების გამოტანისას, კაროჟნა შვიდჯერ წაფორხილდა მაგიდასთან და ზარე ხუთი საინი და ჭიქა ქე გადამამტვრია თავზე. საწყალმა დარისპანმა მეც ქე შემომაძლია მისი კაროჟნა:—წეიყვანე, გენაცვალე, ძაან მოგიარს, საინები თუ დაგიმტვრია, რა უჭირს, მაგის მეტი მუშკოოპში რა აწყვიაო, შენც იყიდე ახალიო,— მითხრა.

ასე თუ ისე ბოლოს უსურვე კარგათ ყოფნა დარისპანს, კაროჟნას მალე გათხოვება და გადავედი მეორე სოფელში ბეკინა სამანიშვილთან.

ბეკინა კაი გუნებაზე დამხვდა ახლა. კოლექტივის წევრი გამხდარა. მისი შვილი პლატონა აღარ დარდობს უკვე ბეკინას შვილის ყოლას, ვინიდან მიწა კოლექტივშია შეტანილი და გასაყოფიც აღარაფერი აქვთ. ბეკინას შვილი კი უკვე დიდი გამხდარა და კომკავშირელია, თითო ჭიქა აქაც დავლიეთ და გამოუყევი მესამე სოფლისაკენ აბესალომ სალომთაძის და მისი ცოლის ირინეს სანახავათ. შევედი აბესალომისას თუ არა, ჭიშკარში, სახლიდან საშინელი ყვირილი მომესმა და რახარუხი. აბესალომი დამთვრალი ისევ თავის ცოლს ირინეს ეჩხუბებოდა, მარა სულ სხვა ნიადაგზე ეხლა: ცოლი, ირინე შესულა „ჟენატდელში“ და ჭინჭყლ აბესალომს „რაზვოდით“ ემუქრება, მიმილეს გვარიანათ, გამოვკითხე ამბები.

— აბესალომი მილიციონათ აპირებს, ბატონო, შესვლას, მარა ლივერს არავინ ენდო: გეისროლის მაგი და ვინმეს მოკლავსო.-

ეს პატარა ინტერვიუ ნიანგისა დავითის მთავარ გმირებთან ამით დასრულდა და ვისაც პირადად სურს იმათი ნახვა მობრძანდეს 29 ივნისს სახ. ოპერის თეატრში და თავის თვალით იხილავს: აბესალომს, ირინეს და სხვებს.

მეფისტოფელი.

---

## ტელეფონში

— ალლიო? ა? სადგური ხარ? თუ ქალი ხარ ერთი გადამაფსკვენი ხაბურზანიას კვარტირას? რაიო? ქმარი?! ქმარი კი არა მისი ცოლი მინდა... ხო... ძაძუ ხარ, ძღაბო? დაა რუკუ!.. მუჭორე სკანი საქმე?! მასთე რავა მოჯნა ქალო? გუშინ მე დამპირდი, იქინე გელოდე ქე რომ იცი, საღამოს და შენ კი ალმასკომის მდივან პლატონს უყურებდი კლუბში? არაა მაი კაი... ა? ვინაა რომ გვიშლის? ვინცხა ხარ ნუ ჰუჰყუნებ მა ტელეფონში!.. მაცა... ხო... ძაძუ... მართლა აღმოუჩინა რევიზიამ შენს დოყლაპია ქმარს კოოპერატივში ფულის გაფლანგვა და პროკურორმა გამსახლისკენ აცოცხა?! ა? მე? ჰმ!.. აგრე ადვილად ვერ... ისთე მაქვს არეული ანგარიშის დავთრები, რომ ჩვენი სამაზრო კოლხოზის თავმჯდომარის თავშიც არ იქნება ისთე არეული საქმეები... ა? აფერი მაინც და მაინც... რაცხა ორი ათას მანეთამდე მაკლია... ვიდრე კარილე ცენტრშია, ბუზსაც ვერ ამიფრენენ... მერე ან მოვიგონებ რაცხას, დავკარგე-თქვა, ან... ა? ძაძუ! ძაძუ არა ხარ?! მა ვინ ეშმაკია?! რაიო?! გამსახლი?! ჰმ!..

ფერი წაუვიდა არტელის თავმჯდომარეს, ტელეფონს ცივათ უშვა ხელი და მოწყვეტილი დაეშვა სკამზე.

— ეს კაი ნიშანი არაა...—არ დაეთავებინა ჯერ ეს სიტყვა, რომ შემოვიდა გამგეობის წევრი და შეატყობინა:

— ამხანაგო ძუკუ, ერკაის კომისია ცენტრიდან და მილიციის უფროსიც თან ახლავს!

— ა? ასე მალე?! რა ვქნა აწი?

— რაი ვიცი... რატო მაშინ არ მეკითხებოდი, როცა ჩვენ ფულებს ანიავებდი? გიშველოს აწიც იმ შენმა კარილემ!.

# რაბინის „სიბრძნე“

(ძველი აღმოსავლეთის იგავი-ლეგენდა, გადმოცემული თავისუფალი თხრობით)

ჯვაროსნული ომების პერიოდში მტრების ხშირი თავდასხმებით შეწუხებული ებრაელთა ერთი დიდი სოფელი აიყარა და მცირე აზიისაკენ დაიძრა.

ქ. სმირნაში მ[illegible] დასცეს ბანაკი და იქ თანდათან მოეწყო მათი პატარა კოლონია.

მათი ცხოვრების უმთავრეს პირობას შეადგენდა ის, რომ, გარეშე ადგილობრივი ხელისუფლებისა, შინაურული, [illegible] ყოფა-ცხოვრების საკითხებში ისინი რჩევა-დარიგებისათვის მიმართავდენ და კიდეც ემორჩილებოდენ თავიანთ რაბინს.

და რაბინიც ფართოდ სარგებლობდა ამ თავისი უფლებითა და უპირატესობით.

კოლონისტებს პირველ ხანებში ძალიან უძნელებდა ცხოვრებას ბინის სივიწროვე. რაბინმა მშვენივრად იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მას მოუხდებოდა ამ მწვავე საკითხის გადაჭრა. მხოლოდ რა გზით, რა საშუალებით?

— აბა მარტო ბრძანებლობა და ბრძნული დარიგებების უსაზღვროთ ძლევა ხომ ვერ დააკმაყოფილებს მუდამ ხალხს?

და მართლაც, რაბინი არა სტყუოდა.

შიშითა და რიდით, მაგრამ ბოლოს, ამ საკითხმა მართლაც წამოყო თავი.

— დიდო მასწავლებელო,—ეახლენ რაბინს ერთ მშვენიერ დღეს ცხრანი ძმანი, ერთი პატარა და ვიწრო ქოხის ბინადარნი, და შესჩივლეს მას: ბინა ჩვენი მეტად ვიწროა, დასაწოლი ადგილი რომ ვერ ვიყოფინეთ ქოხში, [illegible]ლების გასწვრივ თაროები მოვაწყვეთ, ჭერში ჰამაკები გამოვკიდეთ და იქ ვიძინებთ, მაგრამ ჰაერი არა გვყოფნის, სივიწროვისგან ვიხუთებით.

ქოხის გვერდით ცხენი, ძროხა და ხბო გვიბია. იმათი ნალექის შმორიც ქოხში ატანს და ჩვენს ყოფას კიდევ უფრო ამძიმებს...

გვირჩიე რამე.

რაბინმა დინჯათ მოისმინა. კიდევ უფრო მეტმა სიდინჯემ დაამძიმა და დაღარა მისი შუბლი. გაცილ[illegible]ბით კიდევ უფრო მეტი სინდინჯით წამოდგა, აიღო მაგიდიდან ებრაელთა უბრძნესი წიგნი: „მიდრაში“, გადაშალა ის და თვალები დაასო იმ ადგილს, სადაც ებრაელი ხალხის თორმეტ შტოდ გაყოფაზე იყო რაღაც თქმული.

რიცხვი თორმეტი აეკვიატა უცბათ რაბინის ალღოიანს გონებას.

— რამდენი ხართ სულ?

— ცხრანი,—იყო პასუხი.

— ცხენი, ძროხა და ხბო—გაიმეორა უსიტყვოთ რაბინმა და ცბიერი ღიმილი გველის შეუმჩნეველ გაგლინებასავით დაირხა მის წვერითა და ულვაშებით დაყათრულ სახეზე.

— შეიყვანეთ ქოხში თავისთან ხბოც—იყო რაბინის მკაცრი განაჩენი.

კიდევ უფრო შეასრულეს, მაგრამ შრომამ და ჰაერის სიმძიმემ მაინც თავისი გაიტანა.

და ისევ წასრდგენ რაბინის წინაშე ცოტა დარცხვენილნი.

— გვიჭირს ცხოვრება!—ძლივს ჰკადრეს რაბინს.

რაბინმა გაიმეორა სხეულის ყველა ის ცვლილებანი, რაიც ერთხელ უკვე მოვიხსენიეთ ზევით და, რაიც ისე წინ უსწრებს ხოლმე სიბრძნის ამეტყველებას იმის ბაგეთაგან, ვისაც ამ სიბრძნეს სთხოვენ.

— შეიყვანეთ ქოხში ძროხაც!—ბრძანა ისევ რაბინმა ბრძნულად და ცივად.

გამობრუნდნენ ცხრანი, აასრულეს რაბინის ეს მეორე სიტყვაც და მესამედ აღარ წავიდოდენ რაბინთან, რომ შმორსა და ჰაერის სიმძიმეს თავისი არ ექნა.

— კიდევ უფრო გვიჭირს!—შეჰკადრეს ძლივს.

— წადით და შეიყვანეთ ქოხში ცხენიც! —კიდევ უფრო ცივად და სასტიკად მოუჭრა რაბინმა.

გაბრუნდენ და შეასრულეს. დიდხანს ითმინეს, რადგან ეშინოდათ კვლავ რაბინთან მისვლა, მაგრამ ჭირმა და გასაჭირმა ბოლოს მაინც სძლია იმათ სიჯიუტეს.

— მეტი აღარ შეგვიძლია, ვიხრჩვებით, გვიშველეთ რამე—შეჰბღავლეს მათ ერთხმად რაბინს.

— გამოიყვანეთ ახლა ხბო და დააბით თავის ძველს ადგილას—„ისევ მოკლედ მოსჭრა რაბინმა.

რაბინის ეს რჩევაც ათი მცნების ერთ-ერთ მუხლსავით შეასრულეს, რამდენიმე ოხი მართლაც იგრძნეს და რაბინს ახარეს.

— ცოტა მოგვეშვა!

— მაშ, კარგი. გამოიყვანეთ ძროხაც და მოათავსეთ ხბოსთან—დაუმატა რაბინმა.

მოსულები სწრაფად გამოტრიალდენ და რაბინის რჩევაც დაუყოვნებლივ შეასრულეს.

— მგონი, იეღოვამ მოგვხედა, თავს უკეთ ვგრძნობთ. ჰაერი თანდათან იწმინდება და მსუბუქდება—უთხრეს მათ. [illegible] რაბინის წინაშე გამოცხადებულებმა.

რაბინს ცბიერმა ღიმილმა გადაჰკრა და ბრძანა:

— აჰა! მაშ, გამოიყვანეთ ახლა ცხენიც!..

და მეშვიდეთ რაბინის წინაშე გამოცხადებულები, ისინი ღიმილითა და აღტაცებით მოუთხრობდენ რაბინს, თუ ქოხში ჰაერი როგორ გასუფთავდა და მათი მდგომარეობაც როგორ გაუმჯობესდა. თანაც დაჩოქილები მადლობას აღუვლენდენ მაღლა, უჩინარ მიუწვდომლობაში მყოფ იეღოვას, რომელმაც მოჰმადლა მათ ასეთი გულკეთილი და ბრძენი რაბინი.

—ı—

ეს ძველი ლიგენდა-იგავი რატომღაც მომაგონდა ამ დღეებში, ვითომდა ვსცადე მისი გადახალისება ამ ჩემი თავისუფალი თხრობით. იქნება ზოგი „უაკტის“ ხელმძღვანელს მაინც გამოადგეს რამე.

ჰაზისა.

# ლიზას მარცხი

ლიზა თავის მდგმურებთან კარგ განწყობილებაში იყო. ქირას მდგმურები თავის დროზე აძლევდნენ და ამ ნიადაგზე არავითარი უსიამოვნება არ მოსდიოდა იმათთან.

გავიდა ხანი, იმ სახლის პატრონებს, რომელსაც ხელისუფლებამ სახლები არ ჩამოართვა, ან დაუბრუნა, მადა გაეხსნათ.

ლიზა აბა მათ როგორ ჩამორჩებოდა! ისარგებლა შემთხვევით და ერთი ოთახი გააქირავა და კარგა ბლომად ფული აიღო.

ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობის გამო, მდგმური მოსტყუვდა, ოთახი ბნელი და ნესტიანი აღმოჩნდა. რამდენიმე თვის შემდეგ მან მოინდომა გადასვლა.

— კი ბატონო, თანახმა ვარ, მაგრამ სამაგიეროთ ისეთი მდგმური უნდა მიშოვნო,რომ არ ჰყავდეს ბავშვი, არც კატა და არც ძაღლი, ცოლი კაპასი არ იყოს და ჯამაგირი თვეში ჰქონდეს არა ნაკლები ორმოცი თუმნისა; თვეში უნდა მაძლიოს 40 მანეთი! იყო ლიზას პასუხი.

— კი, შენ ნუ მომიკვდები, ეს ასე უნდა იყოს!—დაუკრა კვერი მამიდამ.

იოსები (ასე ერქვა მდგმურს) საგონებელში ჩავარდა, ოთახის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ არც ერთი არ იყო ისეთი, რომელიც ლიზას უნდოდა: ზოგს შვ[illegible]ი ჰყავდა, ზოგს ცოტა ჯამაგირი ჰქონდა, ზოგს კატა ჰყავდა და ზოგს ძაღლი.

ბოლოს იოსები წააწყდა ერთ მსურველს, რომელიც ყველა პირობებში თანახმა იყო და ლიზას წარუდგინა.

— აჰა. ლიზა, აი ისეთი მდგმური, როგორიც თქვენ გინდათ, ყველაფერზე თანახმაა, არც შვილი ჰყავს, არც კატა და არც ძაღლი, მარტო ცოლქმარი არიან. როგორც თქვენ სთქვით, თვეში 40 მან. გადაიხდიან.

ლიზამ ახედ-დახედა, მამიდამაც ჩაათვალიერა და იოსებს გარედ გამოუძახეს.

— ყველაფერი კარგია, მაგრამ მე მაგის ცხვირი არ მომწონს!—განაცხადა ლიზამ.

— კი, შენ ნუ მომიკვდები, მართლა! —დაუდასტურა მამიდამ.

ასე მიდიოდა დღეები, ბევრი მსურველი წარუდგა ლიზას, მაგრამ მისი მოსაწონარი არავინ აღმოჩნდა. ბოლოს წააწყდენ ერთ ინჟენერს, რომელიც თითქმის მოეწონა ლიზას და ის იყო უნდა დათანხმებულიყო, რომ საუბედუროთ გამოირკვა: ინჟენერს ორი ბავში ჰყავდა, და ლიზამ ცივი უარი განაცხადა.

ჩაიშალა ფრიად სარგებლიანი საქმე. ინჟენერი წავიდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ოთახში შემოიჭრა უცნობი ახალგაზრდა და მიმართა იოსებს. გაიგო ყველაფერი ოთახის შესახებ, გავიდა გარეთ და ლიზა მოიწვია.

— თქვენ ოთახს აქირავებთ?

— დიახ,—გაოცებით და შიშით უპასუხა ლიზამ და უკან მოიხედა. ამ დროს მამიდამ ფრთხილად შემოაღო კარები და გვერდზე მოუჯდა ლიზას.

— მე ყველა პირობებზე თანახმა ვარ.

— რამდენი სული ხართ?

— ორი.

— კომუნისტი უნდა იყოს, ისე გაბედულად ლაპარაკობს!—გადაუჩურჩულა მამიდამ.

— თქვენ კომუნისტი ბრძანდებით?—შიშით შეეკითხა ლიზა.

— დიახ, კომუნისტი გახლავართ.

მამიდამ შიშით პირი დაალო და ლიზას მუჯლუგუნი წაჰკრა, ლიზა წელში გაიმართა.

— —ყველაფერზე თანახმა ვარ. სწორედ თქვენისთანა მდგმურს ვეძებდი, არც ბავშვები გყავთ, არც ძაღლი და არც კატა?

— დიახ, არც ერთი!

დასწერეს პირობა და ლიზამ ერთი წლის ქირა ჩაიბარა.

— აი, ჩემო იოსებ, სწორედ ასეთი მდგმური მინდოდა. ის ინჟენერიც კარგი იყო, მაგრამ ორი ბავში ჰყოლია და მე სწორედ ვერ ვიტან ბავშვების ცელქობას.—მიმართა ლიზამ ძალდატანებული ღიმილით მდგმურს და შემდეგ ახალგაზრდას მიუბრუნდა—თქვენ ხომ ორი სული ბრძანდებით?—ხელმეორედ შეეკითხა ლიზა.

— დიახ, ორი სული მე და ჩემი ცოლი, მხოლოდ ორი ბავშიც გვყავს.

— როგორ თუ ორი ბავში!?—გულგახეთქილი შეეკითხა ლიზა და უიმედო თვალები მამიდას გადახედა.

— მესამე ბავშიც მალე იქნება!—ღიმილით უპასუხა ახალგაზრდამ.

— არა უშავს, მოვეწყობით, ძალიან კარგი!—ათრთოლებული ხმით უპასუხა ლიზამ და მაიდასთან ერთად გარეთ გაიძურწა.

ახალგაზრდამ და იოსებმა გულიანად გადიხარხარეს.

— აფსუს, ინჟენერო!—კვნესით ჩაილაპარაკა ლიზამ და მამიდას შეხედა.

— არ დამიჯერე და იმიტომ მოგივიდა ეს მარცხი, მაგრამ ჩუმად!

კიკოლა.




საპარიკმახეროში (ქველსი სუვრევის ნამთი)

## ფილაქანზე



## ავტო № 63.

მირბის მიფრინავს, უპატრონნო ავტო-მნაქანა.
დილომისაკენ „დამკვრელები“ მან გააქანა.
95-ს წარწერილსა ვხედავთ მის წინა,
მიჰქრის და მიჰქრის, მუშკორებმა ვერ შეაშინა.

გასცდა დილომსა, გაჰკვეთა ქარი...
მოუსვა მცხეთის მოკირწყლულ გზაზე.
შიგ მსხდომ გმირების მოღლილ ორგანიზმს
სურს დასვენება ნაზ ბუნებაზე.
არ იზრალებენ ბენზინს და შინებს,
თავ განწირულნი მისი გმირები, —
და სითავხედით აღტაცებულნი
მიქრიან მსწრალათ მონადირენი.
აჰა! ხედავენ კავშირისათვის
ბოძიდან ბოძზე გაკრულს მავთულებს,
და ზედ შემომჯდარს პატარა ჩიტებს,
ჭიკჭიკ — მღერაში, მყოფს და გართოლებს.
ჩერდება ავტო. იწყება სროლა.
ერთი მეორეს ჯიბრში არიან
ჩიტებს ვერ ჰკლავენ, სამაგიეროდ
მავთულებს სწყვეტენ, მიწაზე ყრიან.

ბრუნდება უკან დანჯღრეული ავტო-მანქანა
ყოფა-ცხოვრებით გაჰხრწნილები მოჰყავს მას თანა.
აღარ დასჭირდა გამორკვევას, დიდი დრო, ხანა
და მუშგლეხინმა აუტეხა მათ თავის ფხანა.

ტოქსინი.

# ᲡᲪᲔᲜᲐ ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ

(ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲓᲐᲜ)

**პარმენ** (აივანზე თავისი ოთახის კარების წინ ჩაის სვამს მონპასიეთი და თავისთვის ლაპარაკობს):—რად არ დაიქცა ის დღე, როცა მე აქ საცხოვრებლად გადმოვედი! თუ მართალია, რომ ჩემს ცოლს აი ჩემი მეზობელი სპირიდონი ეარშიყება, მაშინ ცოცხალი ვერ გადამირჩებიან.

**მაგდა** (თავისი ოთახიდან გამოვა და პარმენს ჩუმად ქოქოლას მიაყრის):—უი, მეხი კი დაგაყარე მაგ მოტვლეპილ თავზე. შენ აქ ჩაის იხვლიპები, და შენი ცოლი კი სად და ვის ეარშიყება არაფერი იცი. (პარმენს). მაშო არ დაბრუნებულა სახლში?

**პარმენ** (ნერვიულად):—ჯერ არა... სპირდონ ხომ არ არის სახლში?

**მაგდა**:—ჯერ არ მოსულა!.. რატომ დაიგვიანა მაშომ თუ იცი? (ერთმანეთს გაბრაზებით უცქერენ).

**პარმენ**:—არ ვიცი... სპირდონ ეხლა დიდი ხნის მოსული უნდა იყოს!

**მაგდა** (უცბად, ისტერიულად): შენი ცოლი ნუ ეარშიყება ჩემს ქმარს, თორემ ორივეს გაგაქრობ ამ ქვეყნიდან საპნის ბუშტივით.

**პარმენ**:—„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“, —სწორედ ასეა შენი საქმე. ჩემი ცოლი კი არა, შენი ქმარი ეარშიყება ჩემს ცოლს, და თავი გაანებოს, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩება. ჩემი ცოლი არც იკადრებს შენს ქმართან გაარშიყებას.

**მაგდა**:—ჰმ! შენ უბედურო, ასეთი უშნო და ჩათლახი რომ ხარ, სწორედ იმიტომ არის, რომ შენი ცოლი ჩემს მშვენიერს ქმარს ეარშიყება.

**პარმენ**:—გიცხონდა ბებიას სული ჯოჯოხეთში. ნაცლებად არის მასე. პირიქით! შენი ქმარი იმიტომ ეარშიყება ჩემს ცოლს, რომ სახლში ასეთი მაიმუნი ჰყავხარ. ყაცს გულზე შემოეყრება და ჰკუას დაჰკარგავს დილით გალვიძებისას შენ რომ ლოგინში დაგინახავს... ჩემი ცოლი კი ანგელოზივით მშვენიერია.

**მაგდა**:—შე გაჭირვებულო, ჩემზე რომ მაგას ამბობ, ერთი შენ ჩაიხედე სარკეში და დაინახე თავისი თავი; ადამიანის გარდა, ყველაფერს ჰგავხარ. არც კი მიკვირს, რომ შენი ცოლი ჩემს ქმარს ეარშიყება.

**პარმენ**:—არც მე მიკვირს, რომ შენი ქმარი, შენი შემხედვარე, ჩემს ცოლს ეარშიყება.

**მაგდა**:—აბა რა გაბრაზებს?!

**პარმენ**:—შენ რა გაბრაზებს? მე მგონია, ჩვენ ორივე ერთ ყოფაში ვართ და ერთმანეთს არ უნდა დავსცინოდეთ.

**მაგდა**:—რა ვიცი რა! კი მომადექი და არაფერი სიავე არ მომაკელი, გამლანძღე და შეურაცხმყვე.

**პარმენ**: —რავა გეკადრება, მაგდა! ეს ისე, ლაპარაკში იყო ხუმრობით, თორემ შენ რავა გკადრებდი (ღიმილით უახლოვდება).

**მაგდა** (ესეც ღიმილით): —მართალია, ცხელ გულზე ადამიანი ტყუილ-უბრალოდ აწყენინებს მეგობარს.

**პარმენ**:—აი, ჩვენისთანა პატიოსან კაცსა და ქალს შეუძლიათ ერთად ცხოვრება სიყვარულით და მშვიდობიანად.

**მაგდა** (მხიარულად):—და ოჯახის შეძენაც.

**პარმენ**: —ჰო, ოჯახის შექმნაც... მყუდრო ცხოვრება... არავინ არ შეგეცილება ცოლზე...

**მაგდა**:—არც ქმარზე...

**პარმენ**:—ერთმანეთის საკუთრება ვიქნებით..

**მაგდა** (მგრძნობიარეთ):—პააარმენ!

**პარმენ**:—მააავდა! (ერთმანეთს ეხვევიან).

**მაგდა**:—„ფერი ფერსა...

**პარმენ**:—მადლი ღმერთსა“.. (ერთმანეთს კოცნიან).

ᲘᲡᲔᲚᲘ.



— შე უსინდისო შენა! შენ რა კაცი ხარ? ჯამაგირი მიიღე და ორი კვარტი ღვინო არ ჩამოსდგი!

# შემისრულდა წადილი—იაფია სადილი

„სადილი ორი კერძით“—80 კაპ. წავიკითხე ერთ სასადილოს კარებზე და დაფიქრებულად შევედი შიგ.

„მოვაწესრიგოთ სახალხო კვება“.

„სახალხო კვებით სოციალიზმისაკენ“ ეწერა პლაკატზე.

—„სახალხო კვებით სოციალიზმისაკენ“ მართლაც კარგი ლოზუნგია —ვსთქვი ჩემთვის. ესე იგი შეხვალ იქ, ჯამოძღები მაგრად, და შემდეგ თამამად შეგიძლია გაუდგე გზას სოციალიზმისაკენ.

ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები აქამდე ვერ მიმხვდარან, რომ სოციალიზმისაკენ გზა სწორედ სახალხო კვებიდან იწყება. თუმცა არც მარქსის, არც ლენინის და არც სხვა ბელადების გადმოსროლილ ლოზუნგში არ შემხვედრია ასეთი ლოზუნგი „კვებით სოციალიზმისაკენ“, მაგრამ მაინც ვერწმუნე ამ ლოზუნგის შინაარს.

შევედი და ერთ მაგიდას მივუჯექი. გაზეთი ამოვიღე. რამდენიმე წერილი წავიკითხე, შემდეგ პაპიროსი შევაბოლე და ბოლოს კი გავიხედ-გამოვიხედე.

მოსადილენი ბევრი ისხდნენ. ზოგი სჭამდა, ზოგი სვამდა, მაგრამ უფრო მეტი კი რაც ძალა და ღონე ქონდათ აბრახუნებდა ხან ხელს და ხან ფეხს.

ჯერ გამიკვირდა მათი საქციელი, მაგრამ როცა არავინ მომაკითხა, მეც მოვერთე, ჯერ კაკუნი, მაგრამ როცა ამანაც არ გასჭრა და მუშტებიც მომეღალა თავი ჩავღუნე.

შიმშილი თავდასხმას თანდათან აძლიერებდა. საჭმელების სუნი უხვად რწყავდენ ჩემს ფილტვების უჯრედებს. სისუსტე თანდათან მემატებო.., და არ ვიცი რა დამემართებოდა, რომ რევოლვე..ის ხმა არ შემომსმოდა. ხალხი ერთ მაგიდასთან შეჯგუფდა. სასადილოს გამგე ფარფაშით მივარდა მაგიდასთან და მსროლელის ვინაობის გაგება მოინდომა.

— თქვენ რა გნებავთ, რომ სტოლს სტეხთ აქ,—შეეკითხა მაგიდასთან დინჯათ მდგომ ჩერკესკიან მოქალაქეს რომელიც ის იყო რევოლვერს ჯიბეში იდებდა.

— ერთი შჩი მომიტანეთ.—დინჯათ ოპასოხა ჩერკესკიანმა, გამგემ თავი გადააქნია—გადმოაქნია, მაგრამ შჩი საჩქაროდ მოურბენია.

— არა, ეს ხალხი სწორედ ერთი ლიგის წევრები არიან, ასე რომ ყვარებიათ ამ იარაღის ხმა, თორემ მე რად დამაკაი. ერთი სადილი რომ არ მაღირსე—ვსთ..ი და კიდევ ავტეხე ბრ..უნი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთმა ყმაწვილმა ჩვენება ჩამომართვა, რაც მივირთმ..დი და წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შჩი მომიტანეს და ხუთი წუთის შემდეგ პური. როცა პირველი გავათავე, დანა მომართვეს, ხოლო ჩანგალი იქვე მახლობლად მოსადილესაგან ვინათხოვრე (სამაგიეროთ დანა ვათხოვე მას). როცა სადილი გავათავე და ის იყო ვდგებოდი, მარილი და წიწაკა მომართვეს.

—„სახალხო კვებით სოციალიზმისაკენ“.

„მოვაწესრიგოთ კვების საქმე“. თითქოს დამცინისო, ისე გამოიცქირებოდენ ასოები წითელ ლენტებზე.

პ. ობოლი.

# რადიო

— „ალლო! ალლო! ლაპარაკობს თბილისი ათას სამოცდა ით მეტრიან ტალღაზე“.

— ვა! კიდევ ალაპარაკდა?

— ხხხ! ხხხ! ხხრ!

— კიდევ ახრიხინდა დასაკლავ ღორივით.

— ვის უჯავრდები, სანდროჯან?

— ვისა და რადიოს, თუ რაღაც ჯადო.

— რას ერჩი, კაცო, რადიოსა. განა ცუდი რამ არის? გუშინ ისე ლამაზად დაუკრა რომ მე, არღანი გამახსენდა.

— ცოდვას ვერ ვიტყვი, ხანდახან ჩვენი რადიოც კარგად უკრავს, მაგრამ ხანდახან რო ახრიალდება, პირდაპირ გული მილონდება, რალა.

— იქნება დაპაჩინკება უნდა თქვენ რადიოს?

— ალბად, მაგრამ ვინ არის დამპაჩინკებელი?

— ხო, თუ ასეა, თქვენ სოფელში არ ვარგებულა ხალხი: სიყრმეს ვეფიცები ჩვენში რადიოს ყველა აპაჩინკებს: ალმასკომის თავმჯდომარე, მისი მდივანი, მასწავლებელი, მაშინისტკა, შიკრიკი, ჩვენი სამკითხველოს გამგე ხომ ამ საქმის დიდი სპეცია.

— ეგენი ხომ არც ჩვენში იზოგავენ თავს, მაგრამ მე ვატყობ, რომა ისინი უფრო აფუჭებენ ამ რადიოსა. ყველაფერ საქმეს თავისი „მასტერი“ უნდა და...

— „ამხანაგებო, ეხლა მოისმინეთ აგრონომის საუბარი ყურძნის მოკრეფის შესახებ“.

— აი უკურე, კიდევ ალაპარაკდა, შენი მოსვლა თუ მოუხდა, მაგრამ ერთი მითხარი, თუ ხათრი გაქვს, ყურძნის კრეფას რადიო როგორ მასწავლის. ყურძენი ოღონდ მოვიდეს და მის მოკრეფა ჩემ კისერზე იყოს. არ მინდა, დაკეტე, თუ ძმა ხარ.

— ააა! დავკეტე! შენ მართალი ხარ. ხანდახან ისეთ რამეებს გვასწავლიან, რომ მე ამ საქმეში დირექტორათ გამოვდგები.

— მოდი, გადაატრიალე, იქნებ ეხლა კაი რამე დაუკრან.

— ამხანაგებო რადიო-მსმენელებო, არსებობს მეცნიერებაში „ნაუკა“, რომელსაც სპირიტიუალიზმი ქვიან...

— რაო, სპირტი არ გაყიდოთ? თუ ძმა ხარ დაკეტე, არაფერი არ მესმის.

— არა კაცო ლამ-ლამობით უფრო კარგ რამეებს უკრავენ თურმე.

— ასე ამბობენ, მაგრამ მე ეხლა მაგას ღამეს ხომ არ გაუთევ! დაღლილი კაცი, რომ ყანიდან მოვალ, მაგას თუ მე შუაღამემდე უყურე, კარგათ კი წავა ჩემი საქმე.

— ესეც მართალია სანდროჯან.

— ოხ, რა კარგი იქნებოდა, რომ აქედანაც შეიძლებოდეს ტფილისთან რადიოთი ლაპარაკი.

— რას ეტყოდი მაინც?

— ვეტყოდი, რომ გველაპარაკონ გასაგებათ. ხშირად ნუ ხრიალებს ეს რადიო, ექვს შაურიან ბუზიკასავით.

— კიდევ?

— კიდევ იმას, რომ კარგი პესნები დაუკრან და გაგვამხიარულონ. მოგვწყინდა „დამისხი დამალევინე“.

— კარგი, გავაგზავნი მაგის შესახებ წერილს და გვიპასუხებენ.

— მარტო პასუხი რას უშველის საქმეს, თუ არ შეასრულებენ.

— კარგი ბიჭები არიან და ნუ შეასრულებენ! აგერ ვეტყვი ჩემ ბიჭს პავლიას და „ტარტაროზის“ გაზეთში ჩააგდებს ყველა ამ რადიო-ხალხს.

**ჭვილი.**



# მიზეზი

მე დარწმუნებული ვარ, რომ სანამ ჩვენი დაქსაქსული, წვრილ-ბურჟუაზიულ-ნეპმანური სახლი არ გადაკეთდება სახლ-კომუნად, მანამ ჩემი მოსვენება არ იქნება.

მართალია, ჩვენი სახლი, რომელიც ტფილისში მდებარეობს, უკვე ეკუთვნის საბინაო კოოპერატივს ყველა თავისი ატრიბუტებით, მაგრამ რა შუაშია აქ ატრიბუტი, როცა მთელი საკითხი ეგრეთწოდებული ძაღლის ვალსის გარშემო ტრიალებს!

ძაღლის ვალსი, ანუ რუსულად „სობაჩი ვალს“, ყველას გაუგონია. მასეთ მომაბეზრებელი იშვიათია რომელიმე ვალსი, მით უმეტეს „უაქტის“ პირობებში.

თქვენი არ ვიცი და ამ ძაღლის ვალსის გამო ჩვენს სახლში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ტრიალებს და შეიძლება საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდეს.

საქმე მოკლეთ შემდეგშია:

ჩემს მეზობელს, რომელსაც ოთახი ჩემს გვერდით უჭირავს, სამწუხაროდ შეეძინა... პიანინო. ესე იგი პიანინო მის ცოლს მოყვა მზითვად, ან იქნებ თვით ცოლია პიანინოს მზითევი. ყოველ შემთხვევაში ეს სულ ერთია. ფაქტი ისაა, რომ იმ ცოლმა იცის მხოლოდ ერთადერთი „პესნა“ და ეს არის ძაღლის ვალსი.

გათენებული? ჯერ სად არის რიჟრაჟიც კი, როცა ჩემი მეზობლისას ძაღლის ვალსის შემაძრწუნებელი პირველი აკორდი გაისმის! იწყება „სიმფონიური კონცერტი“ და მშვიდობით მოსვენებავ! მშვიდობით ძილო, სიზმრებო და ჩემი რეგისტრატორული თავის ბალიშზე მიდებავ!

ნურავინ იფიქრებს, რომ საქმე ამით თავდება.

რა თქვენი ბრძანებაა! მთავარი ისაა, რომ მე გვერდით მეორე მეზობელი მყავს, თავისი როიალით და საკუთარი ძაღლის მარშით!...

ეს მარში არც კია არსებითად, იგივე ვალსია, მაგრამ შიგ ცოტა ცვლილებებია შეტანილი თვით დამკვრელის მიერ. ვინ იცის, მას იქნებ არასოდეს არ მოსვლოდა ფიქრად ამ მარშის დაკვრა, რომ ჩემი პირველი მეზობელი არ ყოფილიყო. ყველაფერი მეტოქეობის ბრალია — თუ იქ ვალსს უკრავენ, ჩვენ მარშს დაუკრავთ“, — ასე მსჯელობს ჩემი მეორე მეზობელი და ისიც მამლის ყივილამდე იწყებს კონცერტს.

წერტილი დავსვა? თქვენც არ მომიკვდეთ! ჯერ სადა ვართ! სწორედ ჩემს ქვევით (მეორე სართულზე ვცხოვრობ) მოთავსებულია მესამე მეზობლის ბინა, სადაც, ალბათ იმავე მეტოქეობის ნიადაგზე გატაცებული არიან იმავე ძაღლის მუსიკით, ოღონდ ვალსით და მარშით კი არა, არამედ მაზურკით... კონცერტი იქაც თავის დროზე იწყება, ასე, რომ არავითარ დაგვიანებას არა აქვს ადგილი...

და ყველა ამას, ზევიდან — მესამე სართულიდან, სწორედ ჩემი ბინის ჭერიდან ერთვის მოდერნიზაცია-ქმნილი ძაღლის მელოდია — ძაღლის ფოქსტროტი და იმავე ძაღლის ჩარლსტონი...

ჰოი საშინელებავ! რა თავზარდამცემია ეს სიმფონიური კონცერტი, რომელიც ჩემს თავბრუდახვევას იწვევს დამკვრელთა წარმატებებისაგან!

არც ამით თავდება ისტორია. ჯოჯოხეთის სრული სურათის შესაქმნელად, თვითეული ჩემი მეზობელი შეიარაღებულია სამსამი ძაღლით. აქ არიან: შპიცები, ფოქსტერიერები, ბულდოგები და ასე გასინჯეთ თვით უბრალო წუპაკი ძაღლებიც. სულ, რიცხვით თორმეტი.

რა საჭიროა თორმეტი ძაღლი ერთ პატარა სახლში? არის კი საჭირო? პასუხი, ვგონებ ორი არ შეიძლება. მაგრამ აქაც თავისი გაიტანეს და შეიქმნა ძაღლების ნამდვილი რეზიდენცია: პირველად მარტო ერთი შპიცი ედგო და ისიც ძაღლის ვალსის ავტორს ეკუთვნოდა. ამან შურით აავსო მარშის ავტორი და მან ფიცხლავ გაიჩინა ფოსტერიერი. ამას მოყვა ბულდოგის გაჩენა ზედა სართულში, ხოლო ქვევით კი მესამე დღესვე



ყოველდღიური შემთხვევა



# გამოაშკარავდა

— ვენაცვალე ჩემ ცოლს მელანს, დიაკვე-ხონ მისთანა ცოლი; ქალი შეახნისა სრულ-ყება და უცხო კაცს არც კი დალაპარაკებია, თავშენახული იყო „ბარიშნობაში" და ეხ-ლაც ჩემი ერთგულია, ფეხქვეშ მეშლება ფიანდაზივით.., მაშ არა და „კომსომოლკა-სა" ჰგავს!—ფიქრობდა თავისთვის კმაყოფი-ლებით ივანე ივანეს ძე ივანიშვილი.

ივანეს მეგობარი პეტრე ოხუნჯი კაცი იყო — მზეს ჩასვლამდე არ აქებენ, შეიძლება გაავდარდესო, სიკვდილის დროს გამოჩნდე-ბა ხოლმე ვინ რა შვილია!—უთხრა ერთხელ პეტრემ ივანეს.

ივანემ ეს სიმართლე წყენით მიიღო.

— არა მე ჩემი ცოლის იმედი მაქვს, ვი-საც უნდა დავენიძლავები;—ის მე არ მიღა-ლატებსო. ამბობდა ივანე.

---

სანაძლეო აღარ დასჭირდათ და თავის თა-ვათ გამოირკვა, მეორე თუ მესამე დღეს თა-ვი დაეხრჩო მტკვარში ვიღაც ივანე ივანეს-ძე ივანიშვილმა.

ოხუნჯმა პეტრემ შემოუტანა ივანეს გა-ზეთი, რომელშიაც ეს ამბავი ეწერა. სწორედ ამ დროს გაჩნდა ფოსტალიონი და გადასცა მელანია ორიოფრეს ახალ ივანიშვილს წერი-ლი.

— მმ, ე რა უბედურებაა!—მოუვიდა ჯა-ვრი ივანეს, ვიღაც ივანეს ივანესძე ივანი-შვილს თავი დაუხრჩვია და მე ვგონივართ ჩემ ნაცნობ-მეგობრებს; ამიკლეს სამძიმრე-ბით...

—გამოიცვალე შენც გვარი და მოსვენებით იქნები,—ვითომდა გაეხუმრა ცოლი,—ივანე ივანესძე ივანიშვილები ბევრი არიან...

— კი, ერთგული და მორჩილი ცოლია შენმა მზემ, ძალლს გადარევს!—ჩაიცინა გუ-ნებაში, ოხუნჯა პეტრემ: ეგ რომ „კომსო-მოლკას" დაერთო,—ჯვარზე გაცმევდა.

— მელანია, შენ სჩანს მოგბეზრდა სამძი-მრების კითხვა: მოიტა აქ, მე წავიკითხავ, ან პეტრეს გადაეცი ის ჩააბულბულებს.

პეტრემ ჩააბულბულა:

— ძვირფასო მელანია, არ იდარდო, თავი დაგვირჩეს. ამოვიკითხე გაზეთში შენი ქმრის უბედურება და სწორე გითხრა არ დამენანა. ის არ გვაძლევდა ჩვენ გასაქანს, ეხლა კი ბურთი და მოედანი ჩვენს ხელშია. შენ ძაან ოსტატი ქალი ხარ. რომ შენმა ინდაურმა ქმარმა რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ გაგიგო კუდიანობა... შენდამი სრული იმე-დით წავიდა საიქიოს საცოდავი.

შეატყო პეტრემ, რომ ივანეს ბრაზი მოს-დიოდა, მელანიას—სირცხვილის ალმური შეაჩერა კითხვა. თანაც ისე უმზერდა ივა-ნეს, თითქო ეუბნებოდა:

„ეგა ი შენი ერთგული ცოლი!"

— წაიკითხე, კიდევ რასა სწერს, რას მიჭ-ქარავს ის ვიღაცა არის—დაინტერესდა ივა-ნე,—ცოლო, რას მიჭქარავს ის ვიღაცა არის?

მელანია თითქო დამნაშავეაო, ისე გაინა-ბა, და არ იცოდა თავი რით გაემართლებინა.

„მესამძიმრე" შემდეგ სწერდა:

„დიაბ გენაცვა, ნუ იდარდებ: მე აქა ვარ, იმაზე კარგ ქმრობას მე გაგიწევ.

— ვინ არის ეგ მამაძაღლი?..—ჰკითხა ივანე და მზათ იყო ხალიანი თავის ცოლი, თავ ფე-ხიანათ ჩაეყლაპა: მომშორდი აქედან, თვა-ლით აღარ დამენახო.

მაგრამ... წერილის ერთმა ფრაზამ ივანეს ენა ჩააწყვეტინა და მელანიას ხმა ამოაღები-ნა, ეს ფრაზა იყო: „მაგებს ნუ ჩაიცვამ შენ პირშავ ქმარზე: არ იყო ის შენი ერთგული: მან, სანამ შენ შეგირთავდა, დაიდევა ... ერთი ქალისა, რომელიც მტკვარში გადავარ-და. ეწია მას მისი ცოდვა და ეხლა თვი-თონ იწვენის მდვრიე მტკვრის ქაფი. გწერ ... შენი ... ...ან...შვილი.

ივანეს ენა მუცელში ჩაუვარდა.

**ცარდაწიუმ.**



**საერთო სამზარეულოში**

გაისმა, რომელიღაც გამოურკვეველი ჯიში-სა და წარმოშობის ნაგაზის ყეფა...

ჯერი ისევ ძაღლის ვალსის დამკვრელზე მიდგა, რომელმაც არ დააყოვნა მეორე ძა-ღლის შეძენა. ამას მოყვა კვლავ ძაღლის შემატება მარშის ავტორთან და და ასე შემ-დეგ... ალბათ მიხვდებით, თუ როგორ ავი-და ძაღლების რიცხვი თორმეტამდე...

მე ვგრძნობ, რომ ძაღლების რიცხვი იმა-ტებს მომავალშიაც, ამას აღარ უნდა ლაპა-რაკი.

ამიტომ ვაფრთხილებ იმ გულუბრყვილო მოქალაქეებს, რომლებიც დაიჯერებენ შემ-დეგ ქრონიკას, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგ გაზეთში იქნება მოთავსებული:

—„ უცნაური თვითმკვლელობა. გუშინ, დილის 5 საათზე კასტორკით თავი მოიწამ-ლა რეგისტრატორმა ყიყაძემ. მიზეზი გა-მოურკვეველია".

არ დაიჯეროთ პატივცემულო მოქალა-ქენო! მიზეზი ნათელია და საპატიოც: ჩემი მომავალი თვითმკვლელობის მიზეზი გახ-ლავთ სახლ-კომუნად გადაკეთებული „უაჭ-ტის" სახლი, ოთხი პიანინო და როიალი და ის თორმეტი ძაღლი, რომელთა შესახებ წე-ლან მოგახსენებდით.

**ბღლარ-აღლარხან.**

# წერილი ბიძიას

**(ქიათურა)**

გამარჯობა ბიძია ოლიფანტე.

რავარც იყო, გამეველი საავადმყოფოდან. ქე გეიგე-ბდი რეიზა ვიწექი, ამას წინათ კოლექტივის სასადილო-ში ძაღლი შუაგულ ბარკალში მეცა ის მგლის შესა-ჭმელი.

ხო, და საავადმყოფოდან რომ ცოცხალი გამეველი, არ გაკვირს.

ბალინჯობიდან სისცოცხლე მქონდა გამწარებუ-ლი. სპეციალნათ ხომ არ ასუქებს ნეტა საავადმყოფოს ადმინისტრაცია ამ ბაღლინჯოებს? რავარც ტახი, ისე არიან ჩასუქებული.

ხსვა მხრით, ბიძია ოლიფანტე, ჭიათურაში კარგად ქიდის საქმე. შენ რომ ტრესტის წმენდის შესახებ მწე-რდი, არ მომხდარა და, მგონია, არც მოხდეს, თუმცა გასაჩისტი ხალხი იქ ბევრია.

მუშკოოპში ვაჭართა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

ჰო, მართლა ბიძია, კინაღამ დამავიწყდა.

გუშინ სასადილოს წინ გავიარე და ვიღაცა მუშა თავგამეტებით ექაჩავებოდა ორ ნაჭერ პურს, რომელიც ერთი მეორეზე ჯადოსნურათ იყო გადახლართული თოკით.

ფურნის გამგე გრძელ ტარიანი ცოცხით კონტრ-ატაკაზე გადადიოდა ტარაკანების წინააღმდეგ.

იქვე წითელ სასადილოში შევიარე, ერთი მუშა მუშტებს გულზე იბარტყუნებდა. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ქონდა. მოვემზადეთ სამძიმარი გვეთქვა ამხანაგებისათვის, რომ ნოქარმა გვითხრა:

— რა არის გასაკვირი, კაცს გულზე პურის კუსოკი და-ეცა და ეხლა გარედან დავლენიეს უკეთებსო.

— შე კაცო, მერე და ერთი ჭიქა წყალი ვერ მიაშ-ველეთ? ხომ ხედავ იხროჩა კაცი.

— აი კოოპერაციის ერთგული ხალხი! — დაგვეცინა ნოქარმა. — მერე და ამდენი ლიმონათები და ღვინოები, ხომ დაგვერჩა გაუსაღებელი? — ასე გვითხრა ძია ოლი-ფანტე, ნოქარმა და სამზარეულოში შევიდა.

**შენი შაკო.**

მკითხველთა თხოვნით

**კონკურსი**

გაგრძელდება 10 ივლისამდე

# ჭ ტ ე ფ ა ნ ე ქ ა ლ ა ქ შ ი

— აანგე თითილოკაან ივანეშ იგეთი აქია ჩამამიგდო რო გული შამიქნა და ქალაქ წასვლა მამანდომა. ავდექ და ამ ჩვენ კოლექტივი საჭიროკ კრებაზედა იმიდოლა ვიყატყადე, იმიდოლა ვიჩალიჩე, რო ბოლოს საცოიბი დაეყყებე:

— ამხანაგებო და ჯამაათო, ამ ჩვენ შაკ-რეფილობზედა გადაწყვიტეთ, რო ერთი კაცი ქალაქ გაეგზავნოთ მეთქი!

— ქალაქ რიჰთვინაო?

— რიჰთვინა და იმიჰთვინა მეთქი, რო აი ჩვენ რადიონსა პროფულკა მართულები გაფუჭებია და იმი გამკეთებელი ოიტატი მაიყვანოთ მეთქი; იმაითანაცა ჩვენ რო ელექტრონი ტანცია მოვაწყეთ და ე ოთახები ელექტრებივით გავაჩადლადეთ, სახლებში კი გვაწყებს იმი შუქი? პო და იმიჰთვინაცა ვიგმა უნდა შავადგინოთ ი ჩვენ შეფსა! მაგაი გარდა, აანგე ჩვენი კლუბიჰთვინა ერთი ლაზათიანი ფარდა და დეკარაციები საჭიროა მეთქი; ეგეც რო არ იყოი, ე სკოლაი რო ვადიდებთ, მაიწავლებლები არ უნდა დავანიშნოთ მეთქი? ჩემი წინადადებაი ყველაი ჭკუაში დაუჯდა და დამიდასტურეს—კარგიაო.

— ვინ გავგზავნოთ ქალაქშაო?

კენჭი უყარეს და მე შამხვდა!

მამცეს მანდატი, ჩავაწყე ხურჯინი ი საგზალი, დავადექ ა ფოიტი გზასა და დოიჭ-ტოლრივ გავწიე ი ტანციისაკენა. წნორში ხურჯინი ბაღუჯათ მივე, მე კი ჩავჯექ პოეზდშია და წაველ.

საიქ დაღამებული იყო, როცა ქალაქ ჩავედით. ჰაი დაწყევლა გამჩენმა ი უპატრონო რამოტოლაა ი ქალაქი კაცო! ერთი რო არ გაიხედამ? იგეთი გალაპლაპებულია გეგონება ელოვიაოო—მაშა?! ეგრე ალმა-ცეცხლა რო გაჰხედო იმსიგძეა რო ანგე ჭოტორო—იმაი იქით თვალიც ვერ გაუწევს. ახლა ქუჩები რამოტოლტოლებია და! იგეთი დაკრიალებულია იტყვი წირვი სუფრაა გაშლილიო—დამჯნარი ერბო რო დაგეღვარაი აჰკრეფ. მიედნები ეგრეა გასიპული, რომ რწყილი ფეხ ვერ მაიკიდებს მაშა!

რა მილეთის ხალხი გინდა რო იქ არ დადიოდეი: რო უყურო, თვალი გაგიჭტერდება: ახლა ქალებს არ იტყვი? (ჩაიცინებს) იმათი ყურებითა იგეთ დღეში ჩაივარდები რო თვალები უნდა დაჰმალო თორე ხორცი შეგეჯავრება. ეგრე მოუშველებიათ ი ტანისამოსი რო წინ მარტო უჩანთ—უკან აჰრილა. კაბები მარტო ჩვენებურ დედაკაცებს რო თითო თოფი ჩითი უნდებათ თითო კაბათვინა, ი ქალაქელ ქალებსა თითო მეტროი თავს სდით მაშა!

ერთ ქალ შავებდე და ვკითხე:

— ნათლიდედ, ეგრე რამ მოგატიტველათ მეთქი?

— მოდააო, ახალი ყოფა-ცხოვრებაო.

— შე კურთხეულბიშვილო შე რა ყოფა-ცხოვრებაა ტლოკები გარეთ გიყრია მეთქი? —ახალი ყოფა-ცხოვრებაი სოფელშია ჩეთქი: ხალხიჰ დაწინაურებაში, სკოლებიჰ გახსნაში, კოლექტივ მოწყობაში, რადიონების დადგმაში, საცდრები კტუბებათ გადაკეთებაში, გლეხკაცობის სახლში ელექტრონები გამოყვანაშია მეთქი, აი ავეთია ჩვენში ახალი ყოფა-ცხოვრება მეთი მაშა! გადჯავრდა. კრუხივით გაცხარდა. იგეთი მაგარი რუსული მითხრა, რო ყურებმა სუ ლაწა-ლუწი დამიწყო მაშა!..

ვიფიქრე, ეექ ხათაბალაი არ გადმეკიდო მეთქი; მიველ ი კონკი გასაჩერებელთანა და უცდი. როგორც იყო მოვიდა ი კონკა ვაგონი. მოვიდა მაგრამა ი ჭიათბძლალი მეკონკეი როდი აჩერებდა ეგონსა, შიგნიდან ხალხი სუ ჰანტა-პუნტით გადმოყარა და გარედან კიდე არავინ შაუშვა—„მეჰტა ნიატოო"—და აწკრიალა ზარი და ჰერი! მეორემაც ეგრე ქნა, მესამემაც. მკიდია ე ხურჯინი და მზრუნში ვიზნიქები.

ბოლოი მოვიდა კონკი ვაგონი და ერთიბეწვით რო გაჩერდა, ავახტი ამ ჩემი ხურჯინითა და დავდექ. ცოტა ხნი მასცვან ერთი გასხლიტილი ვილაცა დამადგა, ჯერ ბილეთი მამყიდა და მემრე მითხრა შენზე ჰტრაფია და გადაიხადეო.

— რი ჰტრაფი, რა ჰტრაფი მეთქი? იმისთ რომაო გავლილ კონკაზე ამაიხტიო. იმტოლი მელაპარაკა, რო დემემუქრა და ტრაფი გადამახდევინა.

გაჯავრებული ჩამოველ იგრევა და ფეხით მივდივარ—გლეხი სახლში მქონდა ადრესტი და იქითკენ კითხულ-კითხულით ქუჩაზე გადაველ. გადაველ მაგრამ ვაი იმითანა გადასვლას: ერთი ხუთი მილიციონი მაშვარდა ცხრა დორნიკი და ყველამ სუსტუკებს სტვენა დაიწყეი—ჩამავლეი ხელი და მეუბნებიან ეკან დაბრუნდი ჩქარაო..,

იგეთი გავჯავრდი რო ჰა,

— თქვე ჩემნაილებო, ე რა გნიასო დამაწიეთ, ბოჰტნიჰ ქურდი ხო არა ვარ რაი შამამეხვიეენით მეთქი?

— იმიჭთვინაო, რომაო, აანგე იმ ტოლბითვინა მარცხენა მხარეი უნდა შემომეროთ და შენკი მარჯვენა მხარეი შამოუარეო. მაგითვინ ტრაფი გადაგხდება თუ უკანვე არ წახვალ და იმ ტოლბაი მარცხნიდამ არ შამოუვლიო. გამიკვირდა. ე ვერანი ტოლბაი სვეტი-ცხოველი ხო არ არი რომა მიზეზი შამდოი და დამიყვეტი მეთქი. არა ქნეი, უკანვე გამაბრუნეი და იმ ტოლბითვინ მარცხნიდამ შამამატარეო.

ამ დროი ერთმა მთავრობი კაცმა გამაიარა. აანგეი—გუგუნა—მაშინა რომ, ავტომობილ რო ეძახიან, იმაში იჯდა. გამამკითხა და ყველაფერი რო გაიგო, ჩამისვა ი გუგუნაშია და მიმიყვანა გლეხი სახლში. ლხენა თქვენ მოგეცათ კარგი ყოფილა ი გლეხი სახლი. ეგრე მიმღეი, ეგრე, როგორც კაი ჰტუმარი. იქაურობა იგეთი დამისმილებულია, როგორც სარკეი—მაღლა აიხედამ—ელექტრონები ლუდლუდებს, დაბლა დაიხედამ პოლში შენი სახე ჩანს, კედლები მოროთულია, საწოლებია იგეთი, როგორც ბამბი ქულა, აქეთ რადიონი ლაპარაკობს, იქით წიგნები და გაზეთებია. აანგე იქით კიდე კლუბი. რაც კაცმა ინატროი და ირუნდუნოი—ყველაფერი აქ არი.

— მოგწონსო?—გამგე მეკითხება,

— მამწონს და ენგრე მეთქი?

ჰო და ეს სუ გლეხებიჰთვინ არიო. ჩვეი მთავრობაი იმასა ფიქრობსო, რომაო ყველა გლეხისა და მუშის ოჯახი აენგრე მააწყოსო. ეხლა დაისვენეო და ხვალე დილითა ყველაფერი გაგიკეთებთ რაც კი საჭირო და სასარგებლოა სოფლიჰთვინაო, ხალხიჰთვინა და ახალი ყოფა-ცხოვრებითვინაო.

ზ. თარსი.


უწყლობის ნამდვილი მიზეზი

მზადდება „ტარტაროზი"-ს სპეციალური ნომრები
რკინის-გზის,
კოოპერატიული
და საზაფხულო
თანამშრომლებს ვთხოვთ მასალები
დროზე მოგვაწოდონ

# საპასუხო სიტყვა

— ამხანაგებო, არც ისეა საქმე, როგორც აქ კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, — დაიწყო ჩახველების შემდეგ თავისი საპასუხო სიტყვა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— მაშ დაგვისახელეთ თქვენი „მიღწევები“, რომელიმე დარგში; მაგ. რა გააკეთა ადგილკომმა მუშებისათვის სპეცტანისაცმელის დარიგების საკითხში? — წამოიძახა ერთმა.

— ამხანაგებო, ჩვენ ე. ი. ადგილკომმა მოვსთხოვეთ ადმინისტრაციას — ზამთარში მუშებისათვის შეეძინათ სპეცტანსაცმელი, მაგრამ ზამთარი დავაში გავიდა, ზაფხული დადგა და ეს საკითხი თავისთავად მოიხსნა.

— რა გააკეთა ადგილკომმა სანიტარიის დარგში? — იკითხა მეორემ.

— ამხანაგებო, ამ დარგში ჩვენ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს: აქა-იქ კუთხეში დავდგით ჩასაფურთხებელი ყუთები, მაგრამ რად გინდათ, შიგ არავინ არ აფურთხებს; ჯერ-ჯერობით ვერ შეეჩვიენ, რადგან ჯერ კიდევ ახალი ხილია კულტურული რევოლიუცია. გარდა ამისა შეძენილია ხელსაბანი. (საპონს და ხელსახოცს ამ დღეებში შევიძენთ). დადგმულია მოხარშულ წყლისათვის სპეციალური ბაკი (ტაში), რომელშიაც მოუხარშავი წყალია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კარგია.

გამგის თაოსნობით ნაყიდია ელექტრო — „სამოვარი“ (ტაში). ჭიქების შეძენა განზრახულია მომავალ საბიუჯეტო წელში. ასე, რომ თუ პოლონეთმა ომი არ დაიწყო, ჩაისათვის ჭიქები და ლამბაქები შეძენილი იქნება.

— ჯანმრთელობის დაცვა როგორ გაქვთ დაყენებული?

— ყველაზე მეტი ნამუშევარი და გაკეთებული სწორედ ამაში გვაქვს. ჩვენმა საქმისმწარმოებელმა შეიძინა კბილის ჩოთქი და ფხვნილი და ყოველდღე ირეცხავს პირს, რასაც, ალბად, თქვენც შეამჩნევდით. მოანგარიშემ, რომელსაც წინა კბილები აკლდა და ამის გამო მისი ლაპრაკი მის გარდა არავის ესმოდა, ოქროს კბილები ჩაისვა. ამხანაგებო, ოქროს კბილები არ ნიშნავს ბურჟუაზიულ გადახრას, არამედ ეს არის წმინდა კულტურული მოვლენა. წარმოიდგინეთ თქვენ, ოქროს კბილები. თურმე, ზღაპრულ ამირანსაც ჰქონებია! (იხილეთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პირველი, გვერდი 140 გამოცემა 1928 წ.).

— ჰქონდა თუ არა ადგილკომს კონფლიქტი ადმინისტრაციასთან მუშა - მოსამსახურეების ინტერესების დასაცავად?

— არავითარი კომფლიქტი არ გვქონებია. ანდა რატომ უნდა გვქონებოდა კომფლიქტი, როცა სიტყვის შეუბრუნებლად ვღებულობდით ადმინისტრაციის შეხედულებას საკომფლიქტო საკითხზე.

— რა გააკეთეთ ანტირელიგიურ მუშაობაში?

— აქაც გვაქვს მიღწიიბი. საჩმეთა-მმართველმა და

## ახალი პროფესია



— თქვენ სად მსახურობთ, როზა ივანოვნა?

— არსად.

— მაშ როგორ ცხოვრობთ?

— ახვებს ვაწყობ სამსახურში.

---

მთავარმა ბუჰხალტერმა, დადგა თუ არა ზაფხული, გადაიპარსეს თმა და წვერულვაში. მათ ქალებმაც მიჰბაძეს და თმები გაიკრიჭეს.

— როგორი იყო ქალთა შორის მუშაობა?

— ძალზე ნაყოფიერი. მარტო გაზფხულზე საალდგომოდ ჩვენს დაწესებულებაში დაქორწინდა ოთხი წყვილი ქალ-ვაჟი. თითქმის ამდენივე ახლო დროის პერსპექტივაში არის.

ამგვარად, ამხანაგებო, თქვენი ასეთი სატიკი საყვედური ადგილკომის მიმართ ვითომცდა ცუდი მუშაობის გამო, ყოვლად უსაფუძვლოა. წინადადება შემომაქვს ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს და დარჩეს ადგილკომის ძველი შემადგენლობა.

—ლი.

# „ᲑᲠᲐᲕᲐ“ ᲡᲘᲫᲔ „ᲑᲚᲣᲓᲘᲐᲜᲝ!“

სოფ. ლაშე-ლეერკში ამას წინად დაქორწინდა ვალიკო კალანდაძე, რომელიც თავს კომუნისტად ასაღებს.

ვალიკოს ქორწილში ქეიფის დროს ჩამოატარეს „ბლუდი“ და ძველი ჩვეულებისამებრ შეკრიბეს შესაწირი ანუ „თავგადასავლები“. ვალიკომ ამით ქორწილის ხარჯებიც გაასწორა და ფულიც მოიგო.

ტარკორ კ—ს წერილიდან.

დაქორწილდა
ვალიკო და
მეზობლები მოიწვია,
გარეშენიც
ბევრა იყვენ,
შემოსძახეს „ტია-ტია“
ზედ მაყრულიც
მოაყოლეს,
დასცხეს „მრავალ-ჟამიერი“,
„მათი ზოხის
მაღალ ბანით“,
ზანზარებდა კედელ-ჭერი.
გახალისდა
თვით ვალიკო,—
კალანდაძე,—
ჩვენი გმირი,
და დიდ „ბლუდით“
სტუმრებისგან
მოითხოვა შესაწირი.
სთქვა:
შეგვწირეთ, ვინც მოსულხართ
მოყვრულად და შესაწირით!
სტუმრებს სახე აეწითლათ
(სირცხვილით და
არა ღვინით),
მაგრამ მაინც
რაღას იქდენ?—
„გადააგდეს თავზე“ სიძეს
სამკაული,
რაც ხელ მოყვათ;
სხვებმა კიდევ
ფული მისცეს;
ზოგიც
ასე ბოდიშობდა:
— მაპატიე,
ვალიკოო,
მე „პორტმანში სახლი დამრჩა“
ფული არ მაქვს, რა გიყოო?“
„ბრავა“ სიძე — ბლუდიანო“
ანგარიშიც
გაასწორა,
და მოგებაც
კიდევ დარჩა,
არ მიიღოთ თქვენ ეს ჭორათ...
ტარტაროზო, უთხარ სიძეს
— დღეს სხვა დროა! —
„ბლუდებს“ ეშვი!—
თუ არ ეშვას, ტარტაროზო,
ამოკარი შენი ეშვი.

ᲙᲝᲚᲢᲘ.

# ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ

## ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

სამხედრო საქმეში სტრატეგია მთავარია.

კარგი სტრატეგი იშვიათად დამარცხდება, და თუ დამარცხდა, თავს მაინც გადაირჩენს და მტერს სავსებით ხელში არ ჩაუვარდება.

ეს წინასიტყვაობა საჭირო არის როცა ლაპარაკია ჩოხატაურის მეჩექმეთა გამგე ოფიცერ ლედიკოზე.

— სად ოფიცერი და სად მეჩექმეთა კოლექტივი?!— გაკვირვებით იკითხავთ თქვენ.

დიახ საკვირველია, მაგრამ კარგად თუ დააყურებთ მის ღიღინს:

ჩემთვის არის კოლექტივი
საცურავი ფულის ტივი.
ხელში მომეც ღვინით თასი...
ფული ჩავდე შიგ ათასი,

დარწმუნდებით, რომ ის კარგი კომერსანტი... უკაცრავად სპეკულიანტიც ყოფილა.

და მართლაც ჰმართებს დატრაბახება:

მე კაცი ვარ ოფიცერი,
ალრუზე სდგას ჩემი ცერი.

— თუ ამ წერილის შემდეგ არ ეყირავდა ალრუზე მდგარი თქვენი ცერი! — დაუმატებდა ტარტაროზი.

## „ᲡᲢᲧᲣᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ“

— ყოველ საბჭოთა მოქალაქის, მით უმეტეს კომუნისტის ვალია თავისი წვლილი შეიტანოს დღევანდელ სოციალისტურ მშენებლობაში!—ხშირად იტყოდა ხოლმე მარტვილის ეპოს მესვეური კალისტრატე (შემოკლებით, ანუ მოფერებითი სახელით—კალე).

როცა კალე წელში გაიმართა და კოოპერატივის ფულით „ხელი მოითბო“, სახლ-კარი ააშენა, დარწმუნდა:

— კი ყოფილა მართალი რომ ამბობენ: „კოოპერაცია გზაა სოციალიზმისკენ-ო; მართლა ასე მალე შემიყვანა ჩვენმა ეპომ სოციალიზმში... ჩემთვის უკვე დამყარდა სოციალიზმი!—და განაგრძობდა მოოვაწეობას კალე; სულ რაღაც 2.000 მანეთამდა აკლდა, როცა მისი საკუთარი აღმშენებლობის ჩქარი ტემპი რევიზიამ შეაჩერა.

როცა კალე გამსახლისაკენ მიჰყავდათ, ფიქრობდა:

— სტყუის ლოზუნგი! სტყუიან ბოლშევიკები, როცა ამბობენ: კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენო...: ჩემთვის კოოპერაცია გზა დარჩა გამსახლისაკენ.

## „ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘ“

ბატონ-ყმობის დროს არსებობდა „პირველი ღამის“ კანონი.

ეს ამბავი დიდი ხანია ჩაბარდა ისტორიას.

დღეს ჩვენი ბატონობის ნატამალიც აღარ არის, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც ხალხის გამარჯვება სხვაგვარად ესმის.

სუფსაში დიომიდე „დიდი კაცია“. კოლექტივიზაციის გატარება მასზეა დამყარებული.

კულაკი ჯაში კოლექტივიზაციამ ძალზე შეავიწროვა.

დიომიდეს დაუდგა „კარგი დარი“.

— ეხლა ჩვენ ვართ მუშა ხალხი ბატონი. თუ უწინ ბატონები ცუდად ეპყრობოდენ გლეხებს, ეხლა სამაგიერო უნდა გადაუხადოთ ჩვენს კლასიურ მტერს!—ფიქრობდა დიომიდე და ჯაშის ცოლზე თვალი ეჭირა.

როცა ცივი წყალი გადაესხა მის გახურებულ გულს, დიომიდე კომპრომისზე წავიდა და ქალს ასეთი ლექსი მისწერა:

არ გთხოვ, ქალო, დიდ რამესა.
მე ავიღე მასზე ხელი.
შენს ქმარს მამულს დავუბრუნებ,
ოღონდ მიძლვენ კოცნა ცხელი!

ხედავთ ახალ დროის თავადს, რომელიც ერთ კოცნაში მამულს იძლევა საჩუქრად?!

## ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ

ცნობილია, რომ „კარგი“ მომხსენებელი იმდენს ილაპარაკებს, სანამ დარბაზი არ დაიძინებს. ასე იყო დღემდე, ასე ხდებოდა ყველგან.

მაგრამ სულ სხვა ამბავი დატრიალდა ამას წინედ სოფ. ჭოკნარში (ქუთ. ოლქი) მცხოვრებთა საერთო კრებაზე), რომელზედაც კოლექტივიზაციაზე მოხსენებით გამოვიდა ილო წულუკიძე.

როცა შუა მოხსენებას მიაღწია მომხსენებელმა, მას ტრიბუნაზე ჩამოეძინა, ხოლო დარბაზი გაკვირვებით უცქეროდა ამ სანახაობას.

— ეგებ გული წაუვიდა! წყალი!—იყვირა ვიღაცამ.

— დამშვიდდით! არაფერია. კაცი მთვრალია და დაეძინა!—დაამშვიდა ხალხი მომხსენებელის თანამხლებმა.

ᲮᲘ-ᲚᲘ.

# სამტრედია-საჯავახოს წითელ სასადილოებში



— რა ამბავია აქ, რომ ყოველ მოსადილეს თითო ძაღლი მისჩერებია სუფრაზე?

**სასადილოს გამგე:**—ყარაულებად არიან, კერძს უცავენ მოსადილეს, რომ სხვა ძაღლმა არ მოსტაცოს.

# დეპეშები

### გვამის პოვნა

ჭიათურა. გუშინ ერთ კილო პურში აღმოაჩინეს დამხრჩვალი ტარაკანის გვამი, რომელიც გადააგზავნეს მუშკოოპის ფურნის პროზექტურაში.

### ენკენისთვემდე

იძიდანეე. სწავლის შეწყვეტის შემდეგ დაიკეტა წიგნის მაღაზია და გაიღება სამოსწავლო წლის დასაწყისში, ე. ი. ენკენისთვეში. გამგე უკვე შეუდგა ძილსა და სეირნობას.

**ნივიგო.**

### ლალიძის ნადირობა

ხონი. ნადირობის საზამთრო სეზონის დასრულების შემდეგ მიშა ლალაძემ ნადირობა დაიწყო მუშკოოპებზე და მსუბუქ კავალერისტებზე. გორდში და ცხუნკურში მიზანში ამოღებული ჰყავს სამი მუშკორი: ჩიქვანი, სულამბერიძე და საკაურიძე.

**მოლი.**

### უცაბედი მარცხი

გოგოლესუბანი (გურია) მოულოდნელად გალაქტიონს გადასცდა ყელში სოფლის ფული, რამაც მუცელზე წამოზერა. ცენტრიდან გამოძახებულია მუშგლეხინი, რომელიც, ალბად, მშვიდობიანად მოანელებინებს.

**აქაური.**

### სილოვანის მწუხარება

საჯავახო. სასადილოს ყოფილი გამგე სილოვანი ყოველ დღე მოსთქვამს, რომ ორასი მანეთის გაფლანგვის მეტი ვერ მოასწრო რევიზიამდე. ამის გამო ის სასტიკ საყვედურს გამოსთქვამს რევიზიის მიმართ, რომელიც გაუფრთხილებლად ესტუმრა მას

**ჰიხბომბ.**

### პოვნა

მარელისი. ნაპოვნია ყალბი მოწმობა მოცემული ექიმ როზოვის მიერ სონა მაღრაძის სახელზე, თითქოს ეს უკანასკნელი ავადმყოფობის გამო უნდა განთავისუფლდეს სამუშაოდან. პატრონს შეუძლიან მოიკითხოს ადგილობრივ თაბრიკაში.

**„შს. კავ."**

### გამფლანგველის დაკარგვა

ტფილისი, **(ახალი აბრეშუმის საქსოვი ქარხანა)** ადგილობრივ კატებზე მონადირე ფაბკომის მდივანი ანდრო გურგენიძე უგზო-უკვლოდ დაიკარგა მსუბუქი კავალერიის გამოჩენის მეორე დღესვე. მპოვნელს ვთხოვთ გადააგზავნოს სისხლის სამართლის მილიციაში.

**ხე—ტი.**

### დაშავება

სოფ. ხუნჯულოური **(კულაშის თემი).** კოლექტივში შეძრომის ცდის დროს კულაკ გრიგოლს ასეთი მაგარი პანღური ამოჰკრეს, რომ დღე საც დაავადებულია ის და წამლობს.

**ცხრათვალა.**

### თავდასხმა

საჯავახო. წითელ სასადილოს ბატონ-პატრონი სანდრო თავს დაესხა სამზარეულოდან გამოტანილ ხარჩოს კერძს, რომელშიაც აღმოაჩინა ხორცის ხუთი ნაჭერი. სამ მათგანს რეკვიზიცია უყო და ეკრეყიმის მოსაზრებით უკან გააბრუნა ქვაბში.

**ტა—შა.**

### ტრესტი

ოზურგეთი. გაკოტრებულმა ვაჭრებმა შეიძინეს ველოსიპედები და დაარსეს გამქირავებელი ტრესტი.

**„ხულიცინის."**

### გიდნიერი დღე

ზესტაფონი. დღეს სამსახურში თავის დროზე და დაუმთვრალი გამოცხადდა აღმშენებელთა კავშირის ხელმძღვანელი ბურაკოვი; არც არავისათვის შეუგინებია, არც არავინ გაულანძღავს.

**ძირ-თალა.**

# საყვედური



— ჰა, ეხლაც აღარ ჰცვლი ფეხს? ეხლა ხომ მუშკოოპისა ხარ, და არა—კერძო!

## კვარტისტი
### (ს. ახალდაბა)

ახალდაბელ გმირს გაგაცნობთ—
საშა ქურდაძესა,
რომ იპარებს გლეხებისგან
ჩამოზიდულ ხესა,
იშვიათად ნახავთ ფხიზელს.—
დადის მუდამ მთვრალი.
დაფარფატობს, უგინებს
ამღვრეულით თვალით,
სამუშაოს ხშირად აცდენს,
დასეირნობს იგი.
გააფრთხილებ, — გიპასუხებს:
„ახ ტი დურაკ, იდი!!"
ბევრჯერ იყო გაზეთებში
გაქიმული საშა,—
მაგრამ წარბიც არ შეხრია...
ვაშა, ბიჭო, ვაშა.

ტარკორი.

## „მ ა ყ ქ ა ც ი"
### სტალინისი

იოსება ჩიტიშვილსა
სტალინისში არ ყავს ტოლი,
დღე არ გავა სამჯერ მაინც,
რომ არ სცემოს თავის ცოლი.
ეუბნება: „ფიზკულტურა",
მედიცინის არის დარგი,
თუ ცხვირიდან სისხლი წაგსკდეს,
სალებავათ არის კარგი
ხოზზეროვის ექიმბაშ ქალს
შენ მორჩენას მე არ ვაცლი,
იმდენსა ვსცემ. სანამდისინ
სისხლისაგან სულ არ დავსცლი,
მხოლოდ დარჩეს საიდუმლოთ.
ჩვენშიავინ ვის მოერევა,
მილიცია ჩვენ საქმეში
დღეიდან ნუ ჩაერევა.

შახ.

## ამხ. ევა!

სალამი, ჩემო სულის ელნათურო.

შენი თვალები შავია, როგორც მაზუთი, მისგან იღვრება მზერ-ელდენი და ჟესებს ჩემს გულს — დინამოს.

გწამდეს — შენზე ამოდის ზაჰესი და რაიონჰესი.

ნუ დატოვებ ჩემს მოწოდებას უყურადღებოთ, როგორც ადმინისტრაცია საწარმოო თათბირის დადგენილებას. ნუ მომანიჭებ მუშა გამომგონებელის ბედს, რომლის გამოგონება მაუდის ქვეშ ობდება და ლპება.

ნუ მომცემ ხვედრს წამებულ მუშკორისას რომელსაც ზოგჯერ ის აწუხებს, რომ მის მხილებას ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო ზოგჯერ კი ზედმეტი „ყურადღება", რამაც შრომის ბირჟის კარებთან დგომა იცის.

ჩემო მამოძრავებელო ენერგიავ, მიყვარხარ, როგორც ფოლადს ცეცხლი, უროს გრდემლი.

ჩემი მკერდი გრდემლია და მზერა შენი სცემს მას, როგორც ურო. რაც შენ გნახე, მას შემდეგ მოსვენება არა მაქვს, როგორც განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასულ ქარხანას.

შენ გააჩაღე ჩემში პოეტური ცეცხლი და მე გამოვჭედე ფოლადის ძარღვიანი ლექსი:

ო, ელნათურო ევა,
გახდი დამკვრელი ქალი,
ლექსებს დაგიწერ ქცევას
მე ვარ ლექსებით მთვრალი.

შენმა სიყვარულმა ჩემს გულში დაანთო ზაჰესი. შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ არ ჩააქრობ სიყვარულის აგიზგიზებულ კოცონს. შენ იცი, თუ არ გამომჭრი ყორყინტას შენი ხელით. დასაწუნარი ბიჭი არა ვარ: თავადიშვილი მე არ ვარ და კულაკი. პირველი დამკვრელი ვარ და წითელ დაფელი, მოგიკვდეს ბიჭი, თუ არ ვისახელო თავი სოც. შეჯიბრში. სხვა რა გინდა ქალო, გიგზავნი წერილს და ველი პასუხს. არ დამკლა კაცი. არ მითხრა უარი.

ბახჩო.

## საქ. კონსერვატორიაში

რომელმან შექმნა „სახკონსერვ" შენობით მით ძლიერითა,
შიდ როიალი გამართა დამკვრელით, მოსამღერითა,
შიგ მოწაფენი სწავლობენ მუსიკას მრავალ ფერითა,
მიდვე დაარსდა წრეები მოწაფეთ გულის ძგერითა.

### ფეხბურთელთა წრე.

ფეხბურთობა პირველადვე ჯანმრთელობის არის მარგი,
ვისაც რომ ეს ასე ესმის, იგი კაცი არის ვარგი.
მაგრამ ჩვენ წრეს როგორ ესმის? მისთვის არის მეტი ბარგი.
რა ვუყოთ, რომ ბურთი ქე გვაქვს, შენახვაა მისთვის კარგი.

### ულმერთოთა წრე.

ეს წრე დაარსდა ეხლახან წევრების წერილებითა,
ლექტორმაც გვითხრა:—ხვალისთვის ლექციას დაესწრებითა,
მეორე დღესა მოვიდა ჭკუითა, დალაგებითა,
მაგრამ არ შესდგა ლექცია წევრების არ დასწრებითა.

### მსროლელთა წრე.

თოფის სროლაც პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი
ვინც რომ ფაშისტს მოახვედრებს, მსროლელია იგი კარგი.
მაგრამ „გეკო" კაჯელაშვილს გაუხდია, როგორც ბარგი;
სროლის გემო არ გვინახავს, ავი არის ან თუ კარგი.

### კედლის გაზეთი „ეხო"

აქ გამოდის კედგაზეთი, სახელია მისი „ეხო".
მაღწევებზე მიუთითებს და ნაკლსაცა კი შეეხო.
სიმართლე მსურს მოგახსენოთ, არ ტყუილა დავუკვეხო,
ნაკლი სრულად მოაგვარეს! თავს დაესხა ისემც მეხო. დ. ვე-რი-ნი.



# გოდორი

**ი. გულხეთელს.** თემა კარგია, მაგრამ ლექსი — სუსტი, სანიმუშოდ მოვიყვანოთ ეს ადგილი:

ერთ უმუშევარ კაცუნამ იუკადრისა კაცობა;
დასწყევლა თავისი გაჩენა და მოინდომა ქალობა.
ჩემმა წყეულმა დედ-მამამ კაცად რად გამაჩინაო,
სახეზე წვერი მაწუხებს, თავზე მელოტი თანაო.

და როგორც ლამურას, მასაც ასრულებია ნატვრა— ქალად გადაქცეულა.

ქუჩაში გაინავარდა, აბანოხაკენ გასწია.
გახარებული ღიმილით ქალებში გამოერია.
ქალებმა ახედ-დახედეს, ხთქვეს: — ვინ მოხულა
ეხაო?
გულ-მკერდი ჩვენი ასხია, სახე მიუგავს კაცხაო.
გაჰკრეს, გამოჰკრეს ბრჭყალები, სისხლი ადინეს
თავსაო.
სახე წამხდარი კაცუნა გამოაძევეს კარსაო.

ჩვენი სურვილია — შემდეგი თქვენი მასალა არ დაიბეჭდოს ამ გვერდზე. ეს თქვენზეა დამოკიდებული.

**კოხს** (ხევი, ოზურგ. მაზრა). დალაქ სარდიონზე გვწერთ: დამისვა პირზე დანა,
თან ნიკაპი ამათალა.
და ამაჭრა ცალი ყურიც,
გადამკიდა ხათაბალა.

ეგ სულერთია; ამ მასალისათვის თუ სარდიონს არა, ჩვენ მაინც აგაგლეჯდით ერთ ყურს, — და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ აგლეჯას აჭრა სჯობია, ისევე როგორ ჩათრევას — ჩაყოლა. ნუ თუ სხვა ამბავი უფრო მნიშვნელოვანი თქვენში არაფერი ხდება?

**ბრაგუნას** (სამტრედია). ყველა ამ ამბების შესახებ არაერთხელ გვქონდა „ტარტაროზ"-ში დაბეჭდილი, და თუ ამდენხანს საშველი არ დაადგა მათ გამოსწორებას, სულერთია, ვერც ეხლა ვუშველით რამეს. სხვა ამბები მოგვაწოდეთ.

**ფასკუნჯს** (ხონი). გვერწმუნეთ, კიდევ უარესი უსუფთაობა იქნება, რომ ღორებს აუკრძალოს სანიტ. კომისიამ ქუჩებში ხეტიალი.

**ჰოტს.** (ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობის მექანიკური ქარხანა). მთავბუჰხის კინწურაშვილის შესახებ გვატყობინებთ, რომ:

იტანჯება ტრფობის ალში,
ხამსახურში დადის ღამით.
(თითქოს აქვს ბევრი საქმე)
და თავს ირთობს იგი ამით:
„გლავბუხი ვარ, თავს ვიმდაბლებ,
აჩეტოვოდს გწერ წერილს, ცირა!
ქალო, შენმა სიყვარულმა
დამტანჯა და დამამცირა.

აი, ხომ ხედავთ, ყოვლად ძლიერ სიყვარულს შეუძლია ციფრის კაცი, როგორიც არის ბუჰხალტერი, პოეტად გარდაქმნას.

**ვ. გუბელს** (სამტრედია). არა გვგონია, რომ დარია ასათიანი და ალექსი ტოფაძე ეხლა გამსახლში სიმღერის ხოშზე იყვენ და მღეროდენ".

გვიყვარდა ღხინი, ქეიფი
და ფულის ხარჯვა ოხრადა, —
მაგრამ ჩაგვწამდა ყოველი, —
რად დაგვიჭირეს, ოხ, რადა?! — და თუ მართლაც მღერიან, სჩანს ალკოგოლის გრადუსები კიდევ აქვთ თავში.

**ს. გუგუნავას** (შემოქმედი, გურია) გიდასტურებთ, რომ პირველ ივნისის „ტარტაროზი"-ს ნომერში მოთავსებული წერილი „გუსეინის" ფსევდონიმით თქვენ არ გეკუთვნის.

## საპატიო მიზეზი



— დატოვე ნივთები, თორემ გესროლე!
— მესამე სართულიდან ჩამომიტანია, გიჟი ვარ აქ დავტოვო!

**ტატაშას** (საჯავახო). წითელ სასადილოზე გვწერთ:

აგერ გოჭი დევს შემწვარი
აგერ კი — ინდაურია.
იქ კი შემწვარს ქათამსა
კატა სჭამს შინაურია. — ნუ გეშინიათ, არ აწყენს კატას შემწვარი ქათამი.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:

მუშტარს უცქერს სანდრო ჯერძში
თუ შიგ ხორცი რამდენია.
უხარია, როცა თეფშზე
მხოლოდ ძვალი და წვენია, — ეს ალბად იმატომ, რომ ხორცს თვითონ მიირთმევს.

Академия наук



# გადაგვარებულის ბინაზე




პორტრეტები:—ჩვენ აქ როგორ და საიდან მოვხდით?! განა ეს კომუნისტის ბინაა?

რედ. სარ. კოლეგია, გაზ. „მუშას" გამოცემა მთავლიტი № 1819 გაზ. გამომცემლობის სტამბა „კოლექტივი" კამოს ქ. № 68.